# P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“


უჩა ბობოხიძისა და თიკო ჩიხლაძის ოჯახური პორტრეტი:

## ჯერ ადამიანები ვართ და შემდეგ - ექიმები


საზოგადოებრივი ფონდოსკოპი

მე-4 გვერდზე

ირაკლი შენგელია:

## „ექიმობა ნიშნავს ზრუნვას და მეტ ჰუმანურობას“


№1 (781) 12 თებერვალი, 2018 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი


### თამაზ დარჩიძე:

# „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი უნდა შენარჩუნდეს დამოუკიდებელ ორგანიზაციად“

**ქუთაისის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ცოტა ხნის წინ ბოტანიკური ბაღის ააიპი გააუქმა და ის ა(ა)იპ „კულტურულ დაწესებულებას“ დაუქვემდებარა. ეს ფაქტი თითქოსდა ბაღის უკეთესად განვითარების მიზნით გაკეთდა, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ამ ცვლილებამ ქუთაისის ბოტანიკური ბაღი საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღების გაერთიანების მიღმა დატოვა.**

ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღების დირექტორის, **თამაზ დარჩიძის** მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული წერილიდან ირკვევა, სადაც ის ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს.

გთავაზობთ ბატონ თამაზის წერილის სრულ ვერსიას, რომელიც, ვფიქრობთ, რომ უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლებისაგან.


გაგრძელება **მე-3 გვერდზე**


# წყალტუბოში „სტალინური“ ეპოქის ნაგებობებს შესაძლოა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭოთ

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ინიციატივით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ წყალტუბოში, მე-20 საუკუნის "სტალინური" ეპოქის ნაგებობები აღწერა. ინფორმაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს**

„უწყების მიერ აღიწერა მე-20 საუკუნის „სტალინური“ ეპოქის მხატვრული ესთეტიკის მქონე მონუმენტური არქიტექტურული სტილის ყველა ის შემორჩენილი ნაგებობა, რომელიც თავის დროზე უნიკალურ, ერთიან კომპლექსს ქმნიდა. პროექტის განხორციელება სამომავლოდ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი გახდება ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადების პროცესში, რომელსაც წყალტუბოს თვითმმართველობის ინიციატივითვე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეიმუშავებს. მნიშვნელოვანწილად, გენერალური გეგმის ახალი დოკუმენტი სწორედ კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენილ პოტენციალს დაეყრდნობა", – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

უწყების ცნობით, ინვენტარიზაციის პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის კვლევის სამსახურის თანამშრომლების მიერ 14 მონუმენტურ ნაგებობაზე უკვე მომზადდა სააღრიცხვო ბარათები სათანადო ინფორმაციითა და ფოტო-ვიზუალური მასალით, რაც შემდგომში შენობებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცესის ბაზისი გახდება. კულტურული მემკვიდრეობის საბჭოზე ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად დადგენილი პროცედურების გავლას სააგენტო უახლოეს 2 თვის განმავლობაში გეგმავს.

### ცნობები წარსულიდან...

კურორტი წყალტუბოს შენება 1926 წ. დაიწყო. 1936 წ. განაშენიანების პირველი პროექტი შედგა, 1950-51 წლებში კი შემუშავდა გენერალური გეგმა, რომლის ავტორები იყვნენ არქიტექტორები ი. ზაალიშვილი და ვ. კედია. გენგეგმა წრიულობის პრინციპზე იყო აგებული და დაყოფილი იყო ბალნეოლოგიურ, სანატორიულ და საცხოვრებელ ზონებად. ამ დაგეგმარებით ქალაქის ცენტრალური ნაწილია სამკურნალო წყაროების ტერიტორია, რომელიც გამოიყო დანარჩენი ნაწილისგან და გაკეთდა პარკი. ამავე პარკში მოწეყო 9 აბაზანა. პარკის ირგვლივ კი დაიგეგმა და სხვადასხვა პერიოდში აშენდა 18 სანატორიუმი, რომლებიც ამ ქალაქის განვითარების გეგმის მიხედვით დაპროექტდა. ამ სანატორიუმებიდან XX ს. ბოლოს ერთი ნაწილი დაინგრა, მეორე ნაწილი კი ისე გაპარტახდა, რომ თავისი მახასიათებლები დაკარგა. სანატორიუმების უდიდეს ნაწილში დღეს აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ. შენობების ინტერიერი თითქმის სრულადაა გადაკეთებული. მიუხედავად ცვლილებებისა, ნაგებობების ფასადებს დღემდე აქვთ შენარჩუნებული ძირითადი მახასიათებლები და, რეაბილიტაციის შემთხვევაში, სრულად დაიბრუნებენ თავდაპირველ იერსახეს. სანატორიუმების ერთი ნაწილი დღეს კერძო მფლობელობაშია, უდიდესი ნაწილი კი – სახელმწიფოს ბალანსზე.

****

**წყალტუბოს „სტალინური“ ეპოქის შენობები კლასიკური არქიტექტურის სტილშია გადაწყვეტილი, რომაული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ფორმებით.**

ეს შენობები გამორჩეულია თავისი მონუმენტურობითა და მდიდრული მხატვრული დეკორით, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ გააჩნია. შენობათა მორთულობაში ხშირია ქართული დეკორატიული ელემენტები. უმრავლეს შემთხვევაში – ქართული შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურისათვის დამახასიათებელი დეკორი.

ამ მახასიათებელებით **წყალტუბოს „სტალინური“ პერიოდის არქიტექტურა წარმოადგენს კლასიკური არქიტექტურული ფორმებისა და ქართული ნაციონალური დეკორის სინთეზს, რაც მის უნიკალობას კიდევ უფრო ამძაფრებს.** ნაგებობების ინტერიერებში გამოყენებულია ძირითადად მარმარილოს იმიტაცია. შენობების ფასადის ქვედა ნაწილი, როგორც წესი, მოპირკეთებულია გრანიტის მასიური, ფლეთილი კვადრებით. ფასადები უხვადაა შემკული კოლონადებითა და კამარებით, რაც მათ, მიუხედავად მონუმენტური ზომებისა, ჰაეროვნებას ანიჭებს. გარდა ამისა შენობებს გააჩნიათ ქართული დეკორის ან კლასიკური დეკორის ბალუსტრადებით შემკული ტერასები და აივნები.

წყალტუბოს პარკები თავისი დაგეგმარებით, მცენარეული საფარითა და საინჟინრო ხელოვნების ნიმუშებით (ხიდები, საირიგაციო სისტემები) ასევე წარმოადგენს ერთიან უნიკალურ კულტურულ ძეგლს, რომელიც ამ ქალაქს განუმეორებელ იერსახეს უზრუნველყოფს.

**მოამზადა**
**ტატა გულბანმა**

# ასოცირების ხელშეკრულების შესრულება არ არის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობა

**ბოლო კვლევების მიხედვით, 2017 წელს საქართველოს მთავრობის ყველაზე დიდი მიღწევა ვიზალიბერალიზაცია იყო. ამ მაჩვენებლიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების მომხრეა, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინა კვლევებთან შედარებით, მომხრეთა რაოდენობა კლებულობს.**

ვიზალიბერალიზაცია რომ ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა, ამ აზრს ექსპერტებიც მეტწილად იზიარებენ. მოსახლეობის დადებითი განწყობა ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის მიმართ რამდენიმე ასპექტით არის განპირობებული. მათ შორის, ახალგაზრდები თვლიან, რომ ვიზალიბერალიზაცია მათ ხელს შეუწყობს, რომ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროექტებში ჩაერთონ და მიიღონ მონაწილეობა.

ვიზალიბერალიზაცია, რომელიც ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვალას ითვალისწინებს, მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, ბიომეტრიული პასპორტით 90 დღის განმავლობაში ვიზის გარეშე განახორციელონ ვიზიტი. შენგენის ქვეყნებში 90 დღიანი პერიოდით ყოფნის შემდეგ საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს შენგენის ზონა. უვიზო რეჟიმი არ ეხება გრძელვადიან ვიზიტებს და ეს არ ნიშნავს ევროკავშირში უპირობო გაწევრიანებას. ისევე, როგორც ასოცირების ხელშეკრულება არ ნიშნავს ევროკავშირში გაწევრიანებას.

**ექსპერტი ვანო ჩხიკვაძე ამბობს:** „ასოცირების ხელშეკრულება ღიად ტოვებს გაწევრიანების საკითხს. ხელშეკრულების შესრულება არ არის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობა. ხოლო თუ რამდენად ქმედითია სახელმწიფო საგარეო პოლიტიკა ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, გეტყვით, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2015-2018 წლებისთვის არ ითვალისწინებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. დოკუმენტში საუბარია გაერთიანებაში ინტეგრაციაზე, რომელიც არ შეიძლება პირდაპირ აღქმული იქნას, როგორც გაერთიანებაში წევრობა.“


გაგრძელება **მე-3 გვერდზე**



PS news.ge

ISSN 1987-7056

# გენდერული თანასწორობა - თანამედროვე საზოგადოების განვითარების მთავარი მიზანი

**გენდერული თანასწორობის მიღწევა ერთ-ერთი მთავარი მიზანი და პრიორიტეტია თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის. გენდერული თანასწორობა ნიშნავს თანაბარ წარმომადგენლობას, თანაბარ მონაწილეობას და შესაძლებლობებს ქალებისა და მამაკაცებისათვის საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების ყველა სფეროში.**

ადგილობრივი თვითმმართველობა - ეს არის მოქალაქეებისთვის ყველაზე ახლო საფეხური და ამ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები უშუალო გავლენას ახდენს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ოღონდ აუცილებელია იმის გააზრება, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემუშავებული პოლიტიკური და სოციალური პროგრამები სხვადასხვანაირად მოქმედებს მამაკაცებსა და ქალებზე. ყველა მუნიციპალური ფუნქცია სწორედ იმ თვალსაზრისით უნდა განიხილებოდეს, თუ რამდენად პასუხობს ქალებისა და მამაკაცების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

გენდერული პოლიტიკა ის ოფიციალური ინსტრუმენტია, რომლის მიხედვითაც ყველა პროგრამასა და პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას პოტენციური განსხვავებები და ზემოქმედება ქალებსა და მამაკაცებზე, გოგონებსა და ბიჭებზე.

ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული მიდგომის გათვალისწინებას და თანასწორობის უზრუნველყოფისთვის მყარი ნიადაგის შექმნას გარკვეული პირობები სჭირდება.

დღეს ჩვენს საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის ცნება, ძირითადად, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს აინტერესებთ და სახელმწიფო სტრუქტურების მხოლოდ იმ წარმომადგენლებს, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი თანასწორობის დანერგვის მიზნით მიმდინარე მუშაობაში. ასეთები კი, სამწუხაროდ, ერთეულები არიან.

იმისათვის, რომ გენდერული პოლიტიკა განვითარდეს და დაინერგოს, მმართველობის ყველა დონეზე მყოფმა ადგილობრივმა თანამდებობის პირებმა უნდა იცოდნენ, რა არის გენდერული თანასწორობა, რატომაა მისი მიღწევა მომგებიანი ადგილობრივი საზოგადოებისათვის პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით.

რა ხდება მუნიციპალიტეტებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში ტენდერის გამოცხადებისა და სამუშაო კადრების შერჩევისას?

სახელმწიფო სამსახურში მუშაობის დაწყების მსურველი კონკურსანტის ტესტირების თუ ინტერვიუს დროს აუცილებელი სამართლებრივი და სხვა სახის დოკუმენტების ნუსხის დამტკიცებისას დღემდე არ იყო გათვალისწინებული ისეთი კანონების ცოდნა, როგორიცაა კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ; კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ; კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. ამგვარად, სახელმწიფო დაწესებულებებში სამუშაოდ შეირჩევა კადრები, რომლებიც აბსოლუტურად არ არიან კომპეტენტურები გენდერულ საკითხებში. და ამ ადამიანებს, რომლებმაც საბაზისო ცოდნის გარეშე უნდა შეიმუშაონ ადგილობრივი პოლიტიკა, უჭირთ მისი დაკავშირება გენდერულ ასპექტებთან და პერსპექტივებთან.

ჩვენმა ორგანიზაციამ, ფონდმა „სოხუმმა“ დაიწყო ადვოკატირება არსებული პრაქტიკის შეცვლისათვის. გაეგზავნა წერილები საჯარო სამსახურის ბიუროს, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, სახალხო დამცველს, უწყებათაშორის კომისიას. ამ მუშაობამ უკვე გამოიღო გარკვეული ნაყოფი.კანონების შესრულების ეროვნული სამოქმედო გეგმების პროექტებში ჩასმულია მუხლები, რომლებიც ავალებს საჯარო სამსახურის ბიუროს, სახელმწიფო მოხელეთა კონკურსის ტესტებსა და ინტერვიუში შეიტანოს გენდერისა და გენდერული თანასწორობის საკითხები. მაგრამ ეს მოხდება თანამშრომელთა მორიგი შერჩევის დროს. მანამ კი არსებობს გამოსავალი. მაგალითად, ჩვენი თხოვნით, წელს ქუთაისში შესარჩევმა კომისიამ საჯარო მოხელეთა კონკურსისთვის ტესტებში უკვე შეიტანა გენდერული თანასწორობის საკითხები. არის იმედი, რომ დაიწყო სახელმწიფო მოხელეთა გენდერულ ასპექტებთან დაკავშირებული პოტენციალის განვითარების პროცესი.

გენდერული თანასწორობის მყარი საფუძვლის შექმნის მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტია კონკრეტული ქმედებების პოლიტიკური ნება.

მნიშვნელოვანია, რომ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრიორიტეტები იყოს არა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების და ევროკავშირის საჩვენებლად ქაღალდზე ასახული დეკლარაცია, არამედ უზრუნველყოფილი იქნას ფინანსური რესურსებით.

პოლიტიკა და მოსახლეობისთვის შეთავაზებული მომსახურების ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს ქალთა და გოგონათა საჭიროებებს. მაშინ პროგრამები გახდება კარგად დაგეგმილი, ეფექტური და ფაქტობრივი საჭიროებების შესაბამისი.

მაგალითად, ქუთაისის მუნიციპალიტეტმა შეისწავლა მრავალშვილიან ოჯახთა საჭიროებები და უარი თქვა მხოლოდ ერთჯერად დახმარებებზე, არამედ შეიტანა დამატებითი გრძელვადიანი მომსახურება ამ ოჯახების შვილების განათლების საფასურის გადახდისა და პროფესიული მომზადებისათვის. ბიუჯეტში გაჩნდა მუხლები ძალადობის მსხვერპლი ქალების ფინანსური დახმარების შესახებ, ხანდაზმულ ადამიანთა თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მოვლის მომსახურების კუთხით და ა.შ.

საქართველო მხარს უჭერს ადამიანის უფლებების თუ ქალთა დაცვის მიზნით შექმნილ ყველა საერთაშორისო დოკუმენტს, აიღო ვალდებულება, ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პროგრამებში გენდერული საკითხების ჩართვის გზით.

გენდერული თანასწორობის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება გამყარებულია ქვეყნის ძირითად დოკუმენტშიც - საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში. შექმნილია ორი ახალი სტრუქტურა, როგორც გენდერული პოლიტიკის დანერგვის ინსტიტუციური მექანიზმი –გენდერული თანასწორობის საბჭო საქართველოს პარლამენტში და გენდერული თანასწორობის და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია საქართველოს მთავრობაში.

ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის ინსტიტუციონალიზაციის შემდგომი ნაბიჯი იყო 2016 წელს გენდერული თანასწორობის კანონში დამატება მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნისა და გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული საკონსულტაციო საბჭოები ფონდმა „სოხუმმა“ ჩამოაყალიბა 2013 წელს ქუთაისში, სენაკში, ოზურგეთსა და ბათუმში. ამ ოთხ მუნიციპალიტეტში გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შექმნამ ხელშესახები, პოზიტიური ცვლილებები მოიტანა ადგილობრივი პოლიტიკის გენდერული მგრძნობელობის მხრივ. საბჭოებმა განამტკიცა ქალთა პოზიციები და ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა გენდერული საკითხები.

ფონდი „სოხუმის“ ამ პილოტურმა პროექტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზაში, ხელი შეუწყო გენდერული ინსტიტუციური მექანიზმის შექმნას.

ფონდმა „სოხუმმა“ ასევე შეიმუშავა ადგილობრივი ბიუჯეტების გენდერული ანალიზის, გენდერული საჭიროებების შეფასების მეთოდოლოგია. ტრენინგების, კონფერენციების, მრგვალი მაგიდების, მუნიციპალიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარების შედეგად მომზადებულ იქნა ადგილობრივი თანამდებობის პირები. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ოთხი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წევრებმა მიიღეს ცოდნა და უნარ-ჩვევები, შეიცვალა მათი აზროვნება ისე, რომ პირველად საქართველოში დამტკიცდა მუნიციპალიტეტების გენდერული პოლიტიკის გეგმები, ბიუჯეტში შეტანილ იქნა გენდერული ხარჯების შესაბამისი მუხლები, დაფინანსდა გენდერული თემატიკის ამსახველი პროექტები. მართალია, ფინანსური სახსრები მცირე იყო, მაგრამ ეს იყო პირველი ნაბიჯები და გენდერული საკითხები ოფიციალურად დაფიქსირდა საკრებულოებისა და გამგეობების დოკუმენტებში.

დღეს საქართველოში შექმნილია კარგი სამართლებრივი საფუძველი გენდერული თანასწორობის დანერგვისათვის, მაგრამ,საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის რეფორმირებაში საგრძნობი პროგრესის მიუხედავად, არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას და მოგვარების კომპლექსურ ზომებს მოითხოვს.

მათ შორისაა:

- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური დამოუკიდებლობა ცენტრალური ბიუჯეტიდან;
- ✓ დროის სიმცირე გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრთა მხრიდან - ყველა მათგანს აქვს სხვა ვალდებულებები, არ გააჩნია სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები, დამატებითი სახსრების მოძიების გამოცდილება;
- ✓ ინსტიტუციური და ადამიანური რესურსები მეტწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ ფაქტორზე - არჩევნებზე. გენდერულ საკითხებზე მომზადებული კადრები ადგილობრივი თვითმმართველობის ყოველი არჩევნების შედეგად იცვლებიან და მოდიან ახლები, რომელთაც არც შესაბამისი ცოდნა გააჩნიათ და არც გამოცდილება;
- ✓ აქტიური სამოქალაქო მონაწილეობის დეფიციტი ადგილობრივ პოლიტიკაში. თუმცა საკანონმდებლო დონეზე გათვალისწინებულია სამოქალაქო მონაწილეობის ახალი ფორმები - სხვადასხვა საბჭოს შექმნა (მრჩეველთა საბჭო, საკონსულტაციო საბჭო), მაგრამ პრაქტიკაში ეს არ მუშაობს. საზოგადოებაში არ არსებობს აქტიური სამოქალაქო მონაწილეობის სოციალური დაკვეთა. კიდევ მეტი მუშაობაა საჭირო, რომ საზოგადოებას გაუჩნდეს სურვილი, ცოდნა და შესაძლებლობა, ჩაერთოს თვითმმართველობის პროგრამების და პოლიტიკის შედგენაში.
- ✓ ქალების ნაკლებობა პოლიტიკაში, რათა აქტიურად მოხდეს გენდერული პრობლემატიკის ადვოკატირება. ბოლო არჩევნებმა ცოტათი გაიუმჯობესა გენდერული მაჩვენებელი. გაჩნდა პოზიტიური ცვლილებები. პირველად ქალაქის ისტორიაში ქალია ქუთაისის ვიცე-მერი. სამი ქალი გახდა საკრებულოს თავმჯდომარე. ხარაგაულის საკრებულოში 9 დეპუტატი ქალია,ქალია თავმჯდომარეც.სენაკის და წალენჯიხის საკრებულოებში 8-8 ქალია. 7ქალი წევრი ჰყავს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მაშინ, როცა წლების წინ საერთოდ არცერთი ქალი არ იყო.

ეს მაჩვენებლებიც კი ცხადჰყოფს მცირე, მაგრამ მაინც ხელშესახებ ცვლილებებს, რომლებიც უკვე ხდება ჩვენს საზოგადოებაში და ეს სიკეთის მომასწავებელია!

ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი და სისტემატური მუშაობა მოგვიწევს, რათა გამყარდეს მიღწეული სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგები, გაძლიერდეს თანამშრომლობა ყველა სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურას შორის გენდერული თანასწორობის საკითხებში.

**ალლა გამახარია**
**ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციის, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ თავმჯდომარე**

## ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭო
### 2013-2016

თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთობლივი პროექტებით გაგრძელდა. პირველი ასეთი პროექტი იყო „ოლიმპიადა თანაბარ შესაძლებლობებს იძლევა“.

გენდერული საბჭო აქტიურად აგრძელებს მუშაობას გენდერული კუთხით გარკვეული ცვლილებები შეიტანოს საზოგადოების ცნობიერებაში. მოზარდთა ბანაკი - „გენდერული განათლება ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის.“ საბჭოს მიერ განხორციელებული მორიგი პროექტია.

კონფერენცია ერთობლივი პროექტის ფარგლებში: „გენდერული კომპონენტები ადგილობრივ ბიუჯეტში - არსებული რეალობა, პოზიტიური ცვლილებები, მომავლის პერსპექტივები“.

# თამაზ დარჩიძე: „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი უნდა შენარჩუნდეს დამოუკიდებელ ორგანიზაციად“

პირველი ვერდიდან

**„განცვიფრებული ვარ იმ გადაწყეტილებით, რომელიც მიღებული იქნა ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციასთან - ქუთაისის ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით, რაც ამ ძველ სამეცნიერო დაწესებულებას პრაქტიკულად აუქმებს და მას ბაღის საქმიანობასთან სრულიად შეუსაბამო მუნიციპალური ორგანიზაციის ერთ-ერთ ფილიალად აქცევს.**

ქუთაისის ბოტანიკური ბაღის, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციის გაუქმება და ააიპ კულტურულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებასთან მისი შერწყმა, რბილად რომ ვთქვა, შინაარსს უკარგავს ბოტანიკურ ბაღს, როგორც მცენარეთა მრავალფეროვნების კვლევის, მცენარეთა კოლექციების შექმნის, კონსერვაციისა და ეკოლოგიური განათლების მნიშნელოვან ბაზას.

ვიდრე 2012 წელს დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ჩამოყალიბდებოდა, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი 1969 წლიდან გახლდათ თბილისის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის ფილიალი და ემსახურებოდა კოლხეთის მცენარეთა მრავალფეროვნების კვლევას და ამ რეგიონში მცენარეთა ახალი სახეობების ინტროდუქციისა და დანერგვის საქმეს.

ორგანიზაციის ისტორია მხოლოდ ამ პერიოდით არ შემოიფარგლება - ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა პერიოდიდან იგი ითავსებდა მცენარეთა საცდელი სადგურის, შემდგომში ბოტანიკური ბაღისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფუნქციას.

გააჩნდეს კლასიკური ტიპის ბოტანიკური ბაღი - ეს დიდი პატივი და ღირსებაა ქალაქისათვის, მით უფრო როცა მის შექმნას, გადარჩენას და განვითარებას მრავალი თაობის ძალისხმევა დასჭირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის ბოტანიკური ბაღი გახლდათ ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოში (Botanical Gardens Conserlation international – BGCI) ოფიციალურად გაწევრიანების ეტაპზე, რომელიც მსოფლიოს 100-მდე ქვეყნის 500-ზე მეტი ბოტანიკური ბაღის გლობალურ ქსელს წარმოადგენს. გარდა ამისა, სახეზე იყო ორგანიზაციის დინამიური განვითარებაც. გადაიდგა ნაბიჯები კოლხეთის უნიკალური ფლორის კვლევისა ex situ კონსერვაციის მიმართულებით.

ქუთაისის ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები საფრთხეს უქმნის ბოტანიკური ბაღის ძირითადი შინაარსისა და ფუნქციის შენარჩუნებას. ეს ხელს უწყობს ორგანიზაციიდან ღირებული, პროფესიული კადრების გადინებას, ხოლო ბაღს მომავალში უბრალო საქალაქო პარკად გადაქცევას უქადის, თუმცა შესაძლოა ოფიციალურად ეს ასე არც გაჟღერდეს.

ამ ვითარებაში მიზანშეწონილად მიმაჩნია რაც შიძლება მოკლე დროში გადაიხედოს ქუთაისის ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით მიღებული ნაჩქარევი გადაწყეტილებები და ბოტანიკური ბაღი შენარჩუნდეს დამოუკიდებელ ორგანიზაციად, რომელიც ორიენტირებული იქნება საკუთარი წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესრულებაზე, რაც, ბოტანიკური ბაღის შინაარსისა და ფუნქციის გათვალისწინებით, გლობალური, ეროვნული, რეგიონული და ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა განსაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტმა.

**მჯერა, რომ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ქუთაისს შეუძლია ერთი პატარა ბოტანიკური ბაღის პატრონობა და შენარჩუნება.“**

## მარტოხელა მშობლების დახმარება ბიუჯეტში 31-მა მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა

ადამიანის უფლებების განვითარების ფონდის (HRDF) ინფორმაციით, 2018 წელს მარტოხელა მშობლებს 64 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 31 მუნიციპალიტეტი დაეხმარება. წლიური ბიუჯეტით დახმარება მარტოხელა მშობლებისთვის კვლავაც არ აქვთ გათვალისწინებული თბილისს, ვანს, ხაშურს, ქარელს, ახმეტასა და თერჯოლას, თუმცა მათ მუნიციპალიტეტებში ცხოვრობენ სტატუსის მქონე მარტოხელა მშობლები.

თბილისში კი საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტი მარტოხელა მშობელია დარეგისტრირებული. ამის შესახებ imedinews&ge წერს. 2017 წელს მარტოხელა მშობლებს საქართველოს მასშტაბით მხოლოდ 25 მუნიციპალიტეტი ეხმარებოდა. 2018 წლიდან მათ რიცხვს შემდეგი 6 მუნიციპალიტეტი დაემატა:

- ქუთაისი ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის საფასურის დაფინანსებით 30 ლარის ოდენობით;
- წყალტუბო ერთჯერადი 300-ლარიანი ფულადი დახმარებით;
- ბაღდათი ერთჯერადი 200-ლარიანი ფულადი დახმარებით;
- კასპი ერთჯერადი 200-ლარიანი ფულადი დახმარებით მხოლოდ მარტოხელა დედებს ეხმარება. ამიტომ ფონდი გამგეობას დისკრიმინაციის გამოსწორების რეკომენდაციით მიმართავს.
- ტყიბული კი მარტოხელა მშობლებს თავშესაფრით უზრუნველყოფისას დამატებით პრიორიტეტს ანიჭებს;
- ხარაგაული მარტოხელა მშობლებს 200-ლარიან დახმარებას სთავაზობს ერთჯერადად.

# ასოცირების ხელშეკრულების შესრულება არ არის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობა

პირველი გვერდიდან

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა „ექსპერტპოლის“ პროექტის ფარგლებში, 2017 წლის შემაჯამებელი გამოკითხვა ჩაატარა. გამოიკითხა 20 ქართველი და უცხოელიმიმომხილველი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების და სამომავლო პერსპექტივებს შეაფასებდა. ქართველ და უცხოელ ექსპერტთა მოსაზრებები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მეტწილად იდენტური იყო და კარგად ასახავს საქართველოს მთავრობის მიერ მიღწეულ შედეგებს დემოკრატიზაციის, საგარეო პოლიტიკის, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის კუთხით. თუმცა ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ სახელმწიფოს დასავლეთისკენ სწრაფვის გზაზე კომპლექსური და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა სჭირდება.

„დასავლეთისაკენ სწრაფვა გულისხმობს თანმიმდევრულ, მწყობრ, აქტიურ საგარეო პოლიტიკას და საშინაო რეფორმებს, რომელიც უნდა იყოს მიმართული ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისაკენ და ინსტიტუტების განმტკიცებისა და სამოქალაქო თანხმობის უზრუნველყოფისაკენ. მევფიქრობ,რომ ამ მიმართულებით ძალიან სერიოზული პრობლემები გვაქვს და გატარებული პოლიტიკა, რბილად რომ ვთქვათ, არაა ეფექტური.

საქართველოსადმი დასავლეთის ინტერესი პროპორციულია ჩვენი უნარისა, დავამტკიცოთ, რომ მსოფლიოს ამ ნაწილში შესაძლებელია იყოს დემოკრატიული, თავისუფალი სახელმწიფო , არაკორუმპირებული

ინსტიტუტებით და ეფექტური მმართველობის სისტემით.

ჩვენი მთავარი სისტემური პრობლემები თვალშისაცემია: არაფორმალური მმართველობა, სასამართლო სისტემა, პლურალისტული პოლიტიკური სისტემის სისუსტე, მედიის თავისუფლების ხარისხი. ამასთანავე, ისეთი მძიმე საკითხები, როგორც მაგალითად, მუხთარლის საქმეა, ერთი მხრივ, წარმოაჩენს ადამიანის უფლებების პრობლემას, მეორე მხრივ კი , სერიოზულ კითხვებს ბადებს სახელმწიფო მმართველობის სისტემისადმი, რაც დამაზიანებელია საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის.

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელიც მცირეა და ბოლო წლებია, არა ღემატება 3%. ეს უაღრესად მცირე ციფრებია ისეთი ეკონომიკისათვის, როგორიც საქართველოა. აშკარაა, რომ საქმე ქვეყანაში გარკვეულ სტაგნაციასთან გვაქვს. რაც შეეხება ჩვენს საგარეო პოლიტიკურ აქტივობას - მე არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ საქართველო მხოლოდ უნდა ელოდოს შესაბამის საერთაშორისო გარემოს, საკუთარი უსაფრთხოების დღის წესრიგის წინ წაწევისთვის.

აუცილებელია აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება იმისათვის, რომ საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფუნდამენტური საკითხები მუდმივად იყოს საერთაშორისო დღის წესრიგში. ეს საქართველოსათვის განვითარების და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის უმნიშვნელოვანესია. მთავრობის დღევანდელი ძალისხმევა არასაკმარისია.“- ამბობს **ექსპერტი დავით სიხარულიძე.**

კვლევაში მონაწილე ექსპერტთა 40: საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკას დადებითად აფასებს, 25: უარყოფითად, თუმცა 30: არც დადებითად და არც უარყოფითად. კვლევა 2017 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა და მნიშვნელოვანია, თუ რამდენად იქნება ეს მონაცემები გათვალისწინებული სახელმწიფო უწყებების მიერ საგარეო პოლიტიკის მართვის საკითხებში. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი მარიამ გრიგალაშვილი თვლის, რომ საგარეო პოლიტიკის დადებითი მაჩვენებელი 28 მარტს მიღებული ვიზალიბერალიზაციის შედეგია და ეს იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც კვლევაში მონაწილე ექსპერტების დადებითი შეფასება გამოიწვია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების მეორე წარმატებულ ნაბიჯად აშშ-სთან ურთიერთობების განმტკიცება სახელდება, რაც ორმხრივი თანამშრომლობით იქნა გამოხატული.

**მარიკა ეფრემიძე**

## ტურისტების მიერ საქართველოში მონახულებული ადგილების ტოპ-ხუთეულიდან „პრომეთეს მღვიმე“ ლიდერობს

**საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობამ 2017 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 30%-ით მოიმატა და 954 397 შეადგინა.**
**2017 წელს 2016 წელთან შედარებითუცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 33%-ით გაიზრდა, ხოლო ქართველების 28%-ით. ვიზიტორთა 57% ქართველი, 43% კი უცხოელია.**

ყველაზე პოპულარული ტერიტორიების ტოპ 5-ეული ასე გამოიყურება:

- **პრომეთეს მღვიმე - 163941**
- **მარტვილის კანიონი - 147374**
- **ყაზბეგის ეროვნული პარკი - 154085**
- **სათაფლია - 85526**
- **ოკაცეს კანიონი - 73113**

ვიზიტორების რაოდენობა ყველაზე მეტად გაიზარდა შემდეგ დაცულ ტერიტორიებზე:

- **მაჭახელას ეროვნული პარკი - ზრდა 147%**
- **მარტვილის კანიონი - ზრდა 136%**
- **ალგეთის ეროვნული პარკი - ზრდა 74%**
- **თბილისის ეროვნული პარკი- ზრდა 47%**
- **მტირალას ეროვნული პარკი - ზრდა - 41%**
- **ოკაცეს კანიონი - ზრდა - 40%**
- **პრომეთეს მღვიმე - ზრდა - 19%**

2017 წელს დაცულ ტერიტორიებს ვიზიტორები მსოფლიოს 97 ქვეყნიდან ესტუმრნენ, მათგან ყველაზე მეტი ვიზიტორი დაფიქსირდა გერმანიიდან, პოლონეთიდან, ისრაელიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან. წელს ვიზიტორთა რაოდენობა განსაკუთრებით, 203%-ითგაიზარდაარაბთაგაერთიანებულისაამიროებიდან, 64:-ითინდოეთიდან, 63%-ითლატვიიდან, 48%-ით ლიტვადან და რუსეთიდან. საქართველოს დაცულ ტერიტორიებს პირველად ესტუმრნენ ვიზიტორები ლიბანიდან, ლიბიიდან, ტაჯიკეთიდან, იემენიდან, ტუნისიდან, სამხრეთ სუდანიდან და ნეპალიდან.

20 ადმინისტრაციიდან მხოლოდ 5 დაცული ტერიტორიის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში შეადგენს 86 542 878 ლარს, რაც მოიცავს როგორც ეკოტურისტული სერვისების, ისე ადგილობრივი ბიზნესის შემოსავლებს. კვლევა დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაკვეთით, პროექტის „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველო“ ფარგლებში გერმანელმა ექსპერტმა ყაზბეგის, ლაგოდეხის, მარტვილის, მტირალას და პრომეთეს დაცულ ტერიტორიებზე ჩაატარა. კვლევა ეფუძნება საქსტატისგან, ვიზიტორებისა და ადგილობრივი ტურისტული სერვისების მიმწოდებლებისგან მიღებულ ინფორმაციას.

## უჩა ბობოხიძისა და თიკო ჩიხლაძის ოჯახური პორტრეტი:

# ჯერ ადამიანები ვართ და შემდეგ - ექიმები

**„საზოგადოებრივი ფონენდოსკო- პი“ ცდილობს ექიმების შესახებ არსებული სტერეოტიპები შეცვალოს და ამ პროფესიის ადამიანები განსხვავებული კუთხით დაანახოს მკითხველს. რუბრიკის კვირის სტუმრები არიან ნეიროქირურგი უჩა ბობოხიძე და პედიატრი თიკო ჩიხლაძე, რომლებიც ექვსი თვის დაოჯახებული არიან. ახალგაზრდა მედიკოსების ოჯახს მედიასთან ურთიერთობა არ ხიბლავს, თუმცა „პოსტკრიპტუმის“ რედქციას დიდი სიამოვნებით უმასპინძლეს.**

უჩა ბობოხიძე და თიკო ჩიხლაძე

### ავტორის წინასიტყვაობა

პირველად საავადმყოფოფოში, წამლის სუნით გაჟღენთილ ოთახში შევხვდი. კავკასიურად მეტყველი თვალებითა და ჰუმანური ჟესტებით დამამახსოვრდა ... თეთრ ხალათშიც არასტანდარტული ექიმის იერი ჰქონდა, რომელიც ძალიან საინტერესო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. როგორც ამბობენ, „თავმდაბლობა ამშვენებს ადამიანს“, სწორედ ამ თვისების გამო გამიჩნდა სურვილი, მასთან მესაუბრა.

ორი წლის შემდეგ ინტერვიუზე შევუთანხმდი, ოჯახში დამპატიჟა და თავისი არჩეულებრივი მეუღლე გამაცნო.

### პროლოგი

ინტერვიუსთვის შობის დღე შევარჩიეთ, მედიკოსების ლამაზი და თბილი სახლი საშობაო ზღაპრის ასოციაციას ქმნიდა. აღმოჩნდა რომ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს წყვილისთვის კიდევ ერთი საკრარული დატვირთვა ჰქონია. შობას უკავშირდება მათი ურთიერთობის დაწყება. შესაბამისად, წყვილის სიყვარულის ერთი წლის იუბილე ჩვენც გავიზიარეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით,რომ "დედამიწას სიყვარული ატრიალებს“ და „დომენიკო“, უბრალოდ, პერსონაჟზე მეტია...

თიკო მეუღლის მორთმეულ ვარდებს ლარნაკში აწყობს და თან მათი სიყვარულის ისტორიას გვიყვება. არც გამკვირვებია, როდესაც მითრხა, რომ „ამბავი სიყვარულისა“ დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენრტში დაიწყო, იქ, სადაც ორივე ერთად მუშაობს და დროის უმეტეს ნაწილს ატარებს. წყვილი ოჯახის მესამე წევრს, ვაჟს ელოდება, თუმცა სახელი ჯერ არ აქვთ შერჩეული.

ვსხდებით და ფინჯან ჩაიზე ვაგრძელებთ საუბარს...

თიკოს შეფასებით, უჩა იშვიათი ქართველია, რადგან სურდა, პირველი შვილი გოგო ყოფილიყო, მონაწილეობს საოჯახო საქმეებში, უყვარს კულინარიული ესპერიმენტების ჩატარება, აღიარებს გენდერულ თანასწორობას...

ოჯახურ ყოფაში, თანამედროვეობის პარალელურად, ტრადიციულ ხაზს ინარჩუნებენ, რადგან ტრადიციების პატივისცემა ოჯახებიდან მოსდევთ. შობის სასწაულების სჯერათ და ამ დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ...

კითხვაზე, თუ რატომ ირჩევენ ექიმები ცხოვრების მეგზურად მათივე პროფესიის ადამინებს, უჩა გვპასუხობს: „გამიმართლა, რადგან მყავს მეუღლე, რომელიც ჩემსავით აზროვნებს და ყველაფერში მიგებს, როგორც მეგობარი. ჩვენი პროფესია ძალიან სპეციფიკურია. ზოგადი გადასახედიდან, რთულია, რომ ექიმს სხვა პროფესიის ადამიანმა გაუგოს. ალბათ, ამიტომაც მომრავლდა მედიკოსი ოჯახები. თუმცა, მე არ გამითვლია, რომ ჩემი სფეროს წარმომადგენელზე დავქორწინებულიყავი, ეს თავისთავად მოხდა.“

საუბრიდან ირკვევა, რომ უჩა არის ბუნებით ჰუმანური და შინაგანად ქველმოქმედი ადამიანი, რაც მის პროფესიულ არჩევანშიც გამოიხატა. ბუნებით მაქსიმალისტია, ამიტომ გადაწყვიტა მედიცინაში ურთულესი მიმართულება, ასკლეპიუსის გზა აერჩია. თვლის, რომ ექთაისი მისთვის იგივე ოჯახია.

ამბობს, რომ პროფესია ადამიანს ცვლის:

„ყოველდღიურად გვიწევს სიკვდილთან ბრძოლა, მადლიერი თუ უბდური თვალების ყურება, ეს განცდები სახლშიც მოგყვება და ფსიქოლგიურად გცვლის, რადგან ჯერ ადამიანები ვართ და შემდეგ - ექიმები. ხშირად ღამის 12 საათზე ვდგები და მივდივარ პაციენტის სანახავად.“

იგივე აზრს აგრძელებს თიკო: „სანამ ექიმობას დავიწყები, უფრო ლაღი ვიყავი, რაც დრო გადის, ვიცვლები, ჩემმა პროფესიამ სევდიანი გამხადა.“

ახლგაზრდა წყვილი თვლის, რომ ყველაზე მეტ სირთულეებს პაციენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას აწყდებიან, რადგან მათი ახალგაზრდული იერი და თანამედროვე იმიჯი ხშირად მცდარ წარმოდგენას უქმნის ადამიანებს. თუმცა, კომუნიკაციის დამყარების შემდეგ ეს დამოკიდებულება პოზიტიურად იცვლება...

მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი საღამოს 19:00 საათამდე სამსახურში იყო, მობილურ ტელეფონებზე არ წყდებოდა პაციენტებთან დაკავშირებული ზარები... ინტერვიუს დასრულების შემდეგ ისინი შობა დღეს კვლავ სამსახურში დაბრუნდნენ.

ჩვენი რედაქციის სახელით ბედნიერებას და წარმატებებს ვუსურვებთ ამ ადამიანებს, მათ ოჯახს, ვისთვისაც პროფესიონალიზმი უმთავრესია!

**ლიკა დევდარიანი**

## ირაკლი შენგელია: „ექიმობა ნიშნავს ზრუნვას და მეტ ჰუმანურობას“

**საზოგადოებრივი ფონენდოსკოპის კვირის სტუმარია ქუთაისის საკრებულოს დეპუტატი, თავმჯდომარის მოადგილე, ექიმი-რადიოლოგი ირაკლი შენგელია.**

ირაკლი შენგელია

### პროლოგის მაგიერ:

ირაკლი შენგელია დაიბადა 1984 წლის 8 ოქტომბერს მოსკოვში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის მე-3-ე საჯარო სკოლაში. 3 წელი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო-სამედიცინო კოლეჯში. უმაღლესი განათლება მიიღო თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში. ერთი წელი მუშაობდა ღუდუშაურის კლინიკაში სამედიცინო ხარისხის მართვის დეპარტამენტში, კოტე ბარქაიასთან ერთად. ამბობს, რომ ეს პერიოდი მის ცხოვრებაში ძალიან ნაყოფიერი იყო, რადგან მნიშვნელოვანი სამედიცინო კანონმდებლობის მიღებასა და დახვეწაში მონაწილეობდა. სამედიცინო განათლების შემდეგი საფეხური, ორდინატურა, გაიარა ბელორუსიის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში; მაგისტრატურაც ამავე უნივერსიტეტში დაამთავრა. ამ ეტაპზე კი არის ბელორუსიის სამედიცინო აკადემიის ასპირანტი და დატვირთული პოლიტიკური-სამედიცინო მოღვაწობის გამო აკადემიური შვებულებით სარგებლობს.

დღემდე არის ექიმი-რადიოლოგი სამედიცინო კორპორაცია „EVEX”-ის იმერეთის რადიოლოგიური ერთეულში.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნევნებში ირაკლი შენგელია აირჩიეს გამარჯვების ოლქის მაჟორიტარ დეპუტატად. ამავე წელს დაინიშნა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

### დიალოგი:

**- ბატონო ირაკლი, რატომ დაუკავშირეთ თვენი ცხოვრება მედიცინას?**

-ყოველთვის მომწონდა ეს სფერო და საქმიანობა. ამასთანავე, ექიმების ოჯახში გავიზარდე. ამ გარემომაც განაპირობა ჩემი მედიცინასთან დაკავშირება.

**- რას ნიშნავავს თქვენთვის „პროფესია ექიმი“?**

- ექიმობა მოითხოვს განსაკუთრებულ მზაობას, რომელსაც სჭირდება შინაგანი მოწოდება და ბევრი შრომა. ექიმობა, პირველ რიგში, ნიშნავს ზრუნვას და მეტ ჰუმანურობას.

**-ქუთაისი ტრადიციულად ითვლებოდა სამედიცინო მნიშვნელობის ქალაქად. თქვენ როგორ ფიქრობთ, დღეს რა როლს ასრულებს ის რეგიონში?**

- ქუთაისი სამედიცინო მიმართულების მიხედვით დიდი ისტორიის მქონეა. ამის მაგალითია თუნდაც კლინიკური საავადმყოფოს 65წლიანი არსებობა, რომლსაც იუბილე აქვს მალე. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ვულოცავ!

კლინიკური საავადმყოფო იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის ცენტრი, სადაც ბევრმა დარგმა ჰპოვა განვითარება. მათ შორის, ენდოსკოპიურმა, თანამედროვე ქირურგიულმა, ნერვოლოგიურმა მიმართულებებმა და ა.შ. ეს საავადმყოფო დღესაც აქტიურად აგრძელებს პროგრესულ საქმიანობას.

ქუთაისის სამედიცინო სერვისის განვითარებაში ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანამედროვე ასპექტების დანერგვამ, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრისა და ონკოლოგიის ახალი ცენტრის გახსანამ. ამ სიახლეებმა სამედიცინო საზოგადოებაში ახლი შესაძლებლობები გახადა ხელმისაწვდომი, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული კუთხით, ხოლო მოსახლეობას კი ქალაქიდან გაუსვლელად უფრო მრავალფეროვანი და დახვეწილი მომსახურების მიღება შეუძლია.

**- რა მიგაჩნიათ თქვენ სამედიცინო სფეროს მთავარ პრობლემად და გამოწვევად ქუთაისში?**

- როგორც მთელ ქვეყანაში, ასევე ქუთაისშიც მთავარი გამოწვევაა — განათლება. ვგულისხმობ მესამე საფეხურისა და პროფესიული განათლების პრობლემას მედიცინაში. ამ გამოწვევის აღმოფხვრაზე უნდა იზრუნონ როგორც კერძო კომპანიებმა,რომლებიც კლინიკებს ფლობენ,ასევე შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა. აუცილებელია სამედიცინო განათლება დასავლურ სტანდარტებთან გაიგივდეს და დაინერგოს მტკიცებითი მედიცინა.

ქვეყანაში უფრო მეტად უნდა განვითარდეს პრევენციაზე ორიენტირებული ჯანდაცვა, რაც გულისხმობს პოლიკლინიკური და ამბულატორიული ქსელის განვითარებას.

**- ბატონო ირაკლი, თქვენ აქტიური სამედიცინო საქმიანობის გარდა, პოლიტიკითაც ხართ დაკავებული. რატომ გადაწყვიტეთ ადგილობრივი თვითმმართველობის წევრობა?**

-ჩემი მიმართულებიდან გამომდინარე, ყოველდღიური კომუნიკაცია მიწევდა ადამიანებთან. გამიჩნდა სურვილი, ჩემს თანაქალაქელებთან უფრო ახლოს ვყოფილიყავი და უფრო მასშტა– ბურად მეზრუნა მათზე. მედიცინა და პოლიტიკა ხომ ორივე ხალხზე ზრუნვას გულისხმობს. შესაბამისად, ვაპირებ ვიყო ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიური წევრი, ხალხის ინტერესების გამტარებელი.

**- რითი დაამახსოვრებს თავს ამომრჩეველს დეპუტატი ირაკლი შენგელია?**

- უკვე მაქვს ყოველდღიურად კომუნიკაცია ჩემს ამომრჩეველთან. ყოველ პარასკევს მაქვს შეხვედრის დღე გამარჯვების ოლქის მცხოვრებლებთან და ყოველთვის რამდენიმე ათეულ ადამიანს ინდივიდუალურად ვხვდები. ეს ასეც გაგრძელდება მომდევნო 4 წლის განმავლობაში. მინდა, მოსახლეობას ჰქონდეს მეტი ინფორმაცია, იცნობდნენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს. მე ვიზრუნებ, გაიზარდოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადამიანების ჩართულობის მაჩვენებელი.

ხალხის ინტერესების გამტარებელი, აქტიური, შედეგზე ორიენტირებული, ინიციატივებისა და პროექტების განმახორციელებელი - ეს იქნება ირაკლი შენგელია.

**- ვხედავთ, რომ ქალაქში ბევრი ექიმი პოლიტიკურად გააქტიურდა. თქვენი აზრით, ეს პროცესი მედიცინის სფეროს ხომ არ დააზარალებს?**

- ნამდვილად არა. პირიქით, თავის მხრივ ხელს უწყობს. ამ ეტაპზე საკრებულოს ორ კომისიაში ვმუშაობ. ერთ-ერთი არის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია. მე ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ზუსტად ვიცი, რაზე შეიძლება გავაკეთო აქცენტები, რადგან რა გამოწვევები გვაქვს ამ სფეროში, ეს ძალიან კარგად ვიცი; შესაბამისად, პროფესია პოლიტიკაში მხოლოდ და მხოლოდ გვეხმარება.

**- რა სიახლეების დანერგვას ისურვებდით ქუთაისში უახლოეს მომავალში?**

- როგორც ექიმი ვისურვებდი, რომ ჯანდაცვა იყოს უფრო ხელმისაწვდომი. როგორც პოლიტიკოსი - უფრო ინფორმირებულ და აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ჩართული იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ყოველდღიურ საქმიანობასა და გადაწყვეტი ლებე ბის მიღების პროცესში.

ჩემს ცხოვრებაში სხვა ქალაქსა თუ ქვეყანაში ცხოვრების ბევრი შესაძლებლობა მქონდა. მე ამ ქალაქში დარჩენა და ცხოვრება გადაწყვიტე. მინდა, ქუთიასი იყოს მეტად განვითარებული, მიმ– ზიდველი, საინტერესო. მინდა ადამიანებს ჰქონდეთ თვითრეალიზაციის მეტი შესაძლებლობები. ახალგაზრდები იყვნენ უფრო აქტიურები ვიდრე დღეს. მინდა ქუთაისის განვითარების პროცესშიჩემი წვლილი შევიტანო.

**ლიკა დევდარიანი**

P.S.

**მთავარი რედაქტორი:** ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵇ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
Q — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.**
**გამომცემელი** — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**